თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N6

ქ. თელავი 2021 წლის 22 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი, დავით ჯორჯაძე.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **მიხეილ სამადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი **მალხაზ ბაღუაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1.** თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე, კერძოდ სოფ. ვარდისუბნის მონაკვეთიდან ახალი შუამთის საავტომობილო გზის გადასახვევამდე გზის ორივე მხარეს, ღერძულა ხაზიდან 100 მ. დაშორებით მშენებლობის ნებართვის გაცემას. აღნიშნულ არეალში გათვალისწინებულია საზოგადოებრივი კვების ობიექტების, კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, სასურსათო მაღაზიების და სხვა ტურისტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ სასურველია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო მნიშვნელობის გზის სხვადასხვა მონაკვეთებზეც შემუშავდეს შესაბამისი რეგულაციები.

გადაწყვიტეს: თელავი-გომბორი-ვაზიანის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული პროექტების სახეობების განსაზღვრის შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე